

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 21 ივლისის 13 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა 1

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილის მიერ 2015 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიშის შესახებ

წარმომადგენლობითი საბჭო აღნიშნავს, რომ 2015 წელს სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა ძირითადად კანონით დადგენილი წესით წარმართა ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობა. საანგარიშო პერიოდში დროულად და შეუფერხებლად გაიცემოდა ხელფასები, შესრულდა ყველა სოციალური ვალდებულება. გაუმჯობესდა სტუ-ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სასწავლო პროცესის წარმართვის პირობები. უზრუნველყოფილი იყო ელექტრო, წყალმომარაგებისა და გათბობის სისტემების შეუფერხებელი მუშაობა.

წარმომადგენლობით საბჭოს მიაჩნია, რომ მიუხედავად მიღწეული გარკვეული დადებითი შედეგებისა, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მუშაობაში ადგილი ჰქონდა ნაკლოვანებებს.

სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ვერ უზრუნველყო სტუ-ის 2015 წლის ბიუჯეტის გეგმის შესრულება როგორც საშემოსავლო, ისე ხარჯვით ნაწილში. რაც ნაწილობრივ განპირობებულია ფაკულტეტების მენეჯერთა არაეფექტური მუშაობითაც.

წარმომადგენლობითი საბჭო განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ სტუ-ის ბიუჯეტის შევსების წყარო ძირითადად სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასურია. ამ საქმეში სათანადოდ არ არის გამოყენებული საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდის ისეთი რეალური შესაძლებლობა, როგორცაა ეკონომიკური საქმიანობა. გარდა ამისა, არავითარი ზომები არ იქნა მიღებული უნივერსიტეტში კომერციული საქმიანობის განსავითარებლად და ამ გზით ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების მოსაზიდად.

ამ მიმართულებით საქმიანობას არ აქვს მიცემული გეგმაზომიერი და მიზანმიმართული ხასიათი. უფრო მეტიც, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა არ გაატარა ქმედითი ღონისძიება წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 27 მაისის №2 დადგენილების შესასრულებლად. დღემდე არ არის შემუშავებული სტუ-ში კომერციული საქმიანობის წარმართვის მიზნობრივი პროგრამა და მისი განხორციელების უზრუნველსაყოფად შესაბამისი მოქმედების გეგმა.

წარმომადგენლობითი საბჭო თვლის, რომ მკვეთრ გაუმჯობესებას საჭიროებს ხელმძღვანელობა და კონტროლი შესყიდვების სამსახურის მუშაობაზე. ტენდერების დროულად მოუმზადებლობისა და ჩაუტარებლობის გამო 2015 წელს შესყიდვების გეგმა

შესრულდა მხოლოდ 81%-ით. აღსანიშნავია, რომ უნივესტიტეტში ტენდერების ჩატარებაში გეგმების შეუსრულებლობამ სისტემური ხასიათი მიიღო და ამაზე ბოლო წლებში არა ერთი შენიშვნა და მითითება გაკეთდა სამსახურის მიმართ წარმომადგენლობითი საჭოს მხრიდან.

განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ სტუ-ში სუსტია ხელმძღვანელობა და კონტროლი სამეურნეო საქმიანობაზე. უფრო მეტიც, სამეურნეო დეპარტამენტს დღემდე არ გააჩნია დებულება. აღნიშნული საკითხები ოპერატიულ გადაწყვეტას საჭიროებს. წინააღმდეგ შემთხვევაში იმ პირთა მიმართ, რომლებიც არ ითვალისწინებენ უნივერსიტეტის წესდებით, სხვა ნორმატიული აქტებით, ასევე, წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით გათვალისწინებულ შესაბამისი ღონისძიებების გატარებას თავიანთ სფეროებში საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, მიღებულ უნდა იქნეს მკაცრი ზომები ორგანიზაციული ღონისძიებების ჩათვლით.

ყურადღებას მივაქცევთ იმ ფაქტს, რომ სტუ-ის ადმინისტრაციის მიერ ზეგანაკვეთური სამუშაოს საათების ანაზღაურებისთვის გაცემულია 476 398 ლარი ისე, რომ ბიუჯეტის პროექტში კონკრეტულად ეს ხარჯები გათვალისწინებული არ ყოფილა.

წარმომადგენლობითი საბჭო იმედოვნებს, რომ სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მიიღებს გადამჭრელ ზომებს ზემოთ მოყვანილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და უზრუნველყოფს მუშაობის მკვეთრ გაუმჯობესებას.

მიუხედავად მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისა და ცალკეულ მიმართულებებზე გამოთქმული შენიშვნებისა, წარმომადგენლობითმა საბჭომ შესაძლებლად მიიჩნია წარმოდგენილი ანგარიშის დამტკიცება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილის ანგარიში 2015 წელს ჩატარებული სამუშაოს შესახებ დამტკიცდეს (თან ერთვის).

2. სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა (პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი):

ა) მკვეთრად გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი ბიუჯეტის შესრულებაზე. ფაკულტეტების მენეჯერებთან კოორდინირებული მუშაობით მიაღწიოს საბიუჯეტო საქმიანობის მკვეთრ გაუმჯობესებას მდგომარეობის გამოსასწორებლად. ანალიზის საფუძველზე შეიმუშაოს ბიუჯეტის შესრულების უზრუნველყოფის კონკრეტული, შედეგებზე გათვლილი, კომპლექსური გეგმა, მისი შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით, და ყოველდღიური ზრუნვის საგანი გახადოს მისი შესრულება.

ბ) კონკრეტული ზომები გაატაროს სტუ-ში საბიუჯეტო შემოსავლების უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით უმოკლეს ვადაში შეიმუშაოს სტუ-ში კომერციული საქმიანობის წარმართვის პროგრამა. ქვეყანაში არსებული პრიორიტეტების გათვალისწინებით დაადგინოს კომერციული საქმიანობის პერსპექტიული სახეები, ეკონომიკური ეფექტიანობა, შეარჩიოს შესაბამისი

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კომერციული ობიექტების რეგისტრაციის წესი და დასამტკიცებლად წარმოდგინოს წარმომადგენლობით საბჭოს;

გ) საბიუჯეტო საქმიანობის დაგეგმვის გაუმჯობესების მიზნით სტუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ ახლად შემუშავებული სტრატეგიული გეგმის შესაბამისად განახორციელოს უნივერსიტეტის განვითარების ყოველწლიური დაგეგმვა და ამ გეგმის საფუძველზე ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ფორმირება მისი გაზრდის მიმართულებით;

3. სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა უმოკლეს ვადაში წარმომადგენლობით საბჭოს წარმოდგინოს დასამტკიცებლად სამეურნეო სამსახურის მუშაობის დებულება, რომელშიც მკაფიოდ იქნება გამიჯნული დეპარტამენტის და ფაკულტეტების მენეჯერთა უფლება-მოვალეობები სამეურნეო საქმიანობის წარმართვაში;
4. სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ არ მიიღო საჭირო ზომები წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 27 მაისის №2 დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესასრულებლად, რაც მომავალში დაუშვებლად მიგვაჩნია;
5. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ადმინისტრაციის, რექტორატის, აკადემიური საბჭოს და წარმომადგენლობითი საბჭოს მუდმივ საზრუნავს წარმოადგენს ფინანსური შესაძლებლობების მოძიება სტუ-ის პროფესორ-მასწავლებელთა წახალისების და ხელფასის გაზრდის მიზნით;
6. დაევალოს აუდიტის სამსახურს ერთი თვის ვადაში შეისწავლოს ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურებისათვის გაცემული ხარჯების კანონიერება და შედეგები მოახსენოს სენატს;
7. სტუ-ის ადმინისტრაციამ სექტემბრისთვის წარმოადგინოს მოქმედ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში არსებული ხელფასებზე დანამატისა და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესის პროექტი დასამტკიცებლად;
8. წარმომადგენლობითმა საბჭომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიშის ირგვლივ მიღებული გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია მოისმინოს მიმდინარე წლის ოქტომბერში, შიგა აუდიტის სამსახურთან ერთად.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 21 ივლისის 13 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა 2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 21 ივლისის 13 სხდომაზე სტუ-ის შიგა აუდიტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა ალექსანდრე შერაზადიშვილმა წარმოადგინა სტუ-ის შიგა აუდიტის სამსახურის უფროსის თანამოხსენება სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ 2015 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიშის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: ცნობად იქნეს მიღებული სტუ-ის შიგა აუდიტის სამსახურის უფროსის თანამოხსენება სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ 2015 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიშის შესახებ.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

წარმომადგენლობითი საბჭოს
2016 წლის 21 ივლისის 13 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა 3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 21 ივლისის 13 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: დამტკიცდეს სტუ-ის 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. შიგა საუნივერსიტეტო სამეცნიერო პროექტში (ხელმძღვანელი თ. ბაციკაძე), რომლის ბიუჯეტი გაწერილია ადმინისტრაციის და ადმინისტრირების ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში, განსახორციელებელია შიგა მუხლობრივი ცვლილება: არაფინანსური აქტივების სხვა მანქანა/დანადგარებისა და ინვენტარის მუხლიდან, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, 300 ლარი გადატანილ იქნეს სამეცნიერო ხარჯების მუხლში;

2. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში საკანცელარიო ხარჯებიდან 260 ლარი გადატანილ იქნეს მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა/დამონტაჟების ხარჯების მუხლში;

3. კვების მრეწველობის ინსტიტუტის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებისა და ხარჯების ხარჯთაღრიცხვასა და, შესაბამისად, ნაერთ ბიუჯეტში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან – 2 000 ლარი; მივლინების მუხლიდან – 3 500 ლარი; საკანცელარიო ხარჯებიდან – 1 500 ლარი; სულ ჯამში – 7 000 ლარი გადატანილ იქნეს ნორმატიული აქტების, საცნობარო, სპეციალური ლიტერატურისა და ამავე მიზნით, დაკავშირებული საგამომცემლო/სასტამბო (არაძირითადი საქმიანობა) ხარჯების მუხლში;

4. სტუ-ის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებისა და ხარჯების ხარჯთაღრიცხვასა და, შესაბამისად, ნაერთ ბიუჯეტში ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯებიდან 1 000 ლარი გადატანილ იქნეს საკანცელარიო ხარჯების მუხლში;

5. 2015 წლის 17 ივლისს სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს, ამავე უნივერსიტეტის კვლევით ფონდსა და სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის გაფორმდა

ხელშეკრულება. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მთავრობამ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის („MCC“) ფარგლებში 2013 წლის 26 ივლისს შეიმუშავეს ხუთწლიანი ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტი საქართველოში ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის შემცირების ხელშეწყობის მიზნით. მთავრობამ დაარსა სსიპ „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველო“, რომლის სახელით, როგორც უფლებამოსილმა დანიშნულმა მხარემ, აკონტროლოს და მართოს პროგრამის მსვლელობა, სახელწოდებაა „საქართველო - SDSU: საქართველოში ხარისხის აკრედიტაცია და ინსტიტუციონალური ხელშეწყობის ინიციატივა მეცნიერების, ტექნოლოგიის, საინჟინრო და მათემატიკის სფეროებისათვის (STEM) კომპაქტის ფარგლებში“.

აღნიშნულ პროექტში მონაწილეობს სტუ-ის პროფესორი ბატონი ალექსანდრე მესხი როგორც SDSU - საქართველოსა და ათასწლეულის გამოწვევის ფონდის ინსტრუქტორი და ეს სტატუსი ძალაშია 2016 წლის 29 თებერვლიდან 30 ივნისის ჩათვლით.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სტუ-ის სახაზინო ანგარიშზე ჩაირიცხა 8 357 ლარი და განკუთვნილია მისი შრომის ანაზღაურებისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ის ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 8 357 ლარით და აისახოს „სხვა შემოსავლების სხვა მიმდინარე ნებაყოფლობითი ტრანსფერები გრანტების გარდა“ გრაფაში; ხოლო ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს SDSU - საქართველოსა და ათასწლეულის გამოწვევის ფონდის პროგრამით, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში;

6. 2016 წლის 11 ივლისს შპს „ყაზტრანსგაზ - თბილისის“ მიერ მოწოდებული პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტისა და ბირთვული ინჟინერიის ცენტრის შენობაში გაზიფიცირების სამონტაჟო სამუშაოებს, საჭიროა 4 520 ლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში კავშირგაბმულობის ხარჯებიდან 4 520 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების არასაცხოვრებელი შენობების პუნქტში;

7. განხორციელდეს ცვლილებები სტუ-ის ნაერთი ბიუჯეტის როგორც საშემოსავლო, ასევე ხარჯვით ნაწილში, რაც გამოწვეულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან და ევროგრანტებიდან მიღებული შემოსავლებით, კერძოდ:

7.1. სამეცნიერო ფონდის გრანტი №04/06 (ხელმძღვანელი ე. ქუთელია), მოცულობა – 78 170 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების გრაფა გაიზარდოს 78 170 ლარით; ხოლო ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს იმავე პროგრამით, ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად;

7.2. სამეცნიერო ფონდის გრანტი №04/05 (ხელმძღვანელი დ. ჯიშიაშვილი), მოცულობა – 66 221 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების გრაფა გაიზარდოს 66 221 ლარით; ხოლო ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს იმავე პროგრამით, ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად;

7.3. ევროგრანტი №544178–TEMPUS–1–2013–1–PT–TEMPUS–SPCR (ხელმძღვანელი ნ. ჩაჩავა), მოცულობა – 101 107 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში ევროგრანტების გრაფა გაიზარდოს 101 107 ლარით; ხოლო ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს იმავე პროგრამით, ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად;

7.4. ევროგრანტი №310436 – POEMA (ხელმძღვანელი ე. ქუთელია), მოცულობა – 17 674 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში ევროგრანტების გრაფა გაიზარდოს 17 674 ლარით; ხოლო ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს იმავე პროგრამით, ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად;

7.5. სტუ არის სამეცნიერო გრანტის თანადაფინანსებელი ორგანიზაცია. ევროგრანტი №544178–TEMPUS–1–2013–1–PT–TEMPUS–SPCR (ხელმძღვანელი ნ. ჩაჩავა), თანადაფინანსების წილი არის 3 397 ლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში კავშირგაბმულობის ხარჯებიდან 3 397 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში;

7.6. ევროგრანტში №310436 – POEMA (ხელმძღვანელი ე. ქუთელია) სტუ არის სამეცნიერო გრანტის თანადაფინანსებელი ორგანიზაცია. თანადაფინანსების წილი შეადგენს 1 800 დოლარს, რაც დღეის მდგომარეობით არის 4 230 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის მივლინების თანადაფინანსება განხორციელდეს ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვის მივლინების მუხლიდან;

8. ასევე, განსახორციელებელია შიგა მუხლობრივი ცვლილებები ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებში, კერძოდ:

8.1. გრანტი №AR/209/6-120/14 (ხელმძღვანელი ბ. კილოსანიძე) – სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების სამეცნიერო ხარჯებიდან 500 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების სხვა მანქანა/დანადგარების ელექტრომოწყობილობების შეძენის პუნქტში;

8.2. გრანტი №FR/316/6-120/14 (ხელმძღვანელი ვლ. ტარასაშვილი) – მივლინების მუხლიდან 1 300 ლარი გადატანილ იქნეს სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლში, რომელიც არ არის კლასიფიცირებული (ფორუმების სარეგისტრაციო გადასახადისათვის);

8.3. ევროგრანტი №Prep 136 (ხელმძღვანელი ი. ინაშვილი) – ვალდებულებების კლების მუხლიდან 1 053 ლარი გადატანილ იქნეს სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების აუდიტის მომსახურების ხარჯების პუნქტში.

9. აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიუჯეტსა და ნაერთ ბიუჯეტში სამეცნიერო ხარჯების მუხლიდან 38 500 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების არასაცხოვრებელი შენობების პუნქტში; ხოლო 37 250 ლარი გადატანილ იქნეს სხვა მანქანა-დანადგარების პუნქტში, რომელიც არ არის კლასიფიცირებული;

10. ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა ინოვაციურ საქმიანობათა ხელშეწყობის ცენტრის, „ერთად“ ბიუჯეტში, რომელიც გაწერილია ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ბიუჯეტში, განხორციელდეს შიგა მუხლობრივი ცვლილება, კერძოდ შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 2 000 ლარი გადატანილ იქნეს მივლინების მუხლში;

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 21 ივლისის 13 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის საშტატო განრიგში ცვლილებების შეტანის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: დამტკიცდეს სტუ-ის საშტატო განრიგში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურში შეიქმნას სამი სტრუქტურული ჯგუფი: საერთაშორისო ურთიერთობათა ჯგუფი; ორგანიზაციული განვითარებისა და ანალიზის ჯგუფი და სტუ-ის მედია არქივის ჯგუფი. სამსახურში არსებული საშტატო ერთეულები გადანაწილდეს ცვლილების გათვალისწინებით და განისაზღვროს შემდეგნაირად:

1.1. საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი: დეპარტამენტის 1 საშტატო ერთეული, ხელფასით თვეში – 1 800 ლარი; მთავარი სპეციალისტის 1,5 ერთეული, ხელფასით თითოეულის თვეში – 550 ლარი; უფროსი სპეციალისტის 2 საშტატო ერთეული, ხელფასით თითოეულის თვეში – 500 ლარი;

1.2. საერთაშორისო ურთიერთობათა ჯგუფი: ჯგუფის უფროსის 1 საშტატო ერთეული, ხელფასით თვეში – 900 ლარი; მთავარი სპეციალისტის 0,5 ერთეული, ხელფასით თვეში – 275 ლარი; უფროსი სპეციალისტის 2 საშტატო ერთეული, ხელფასით თითოეულის თვეში – 500 ლარი;

1.3. ორგანიზაციული განვითარებისა და ანალიზის ჯგუფი: ჯგუფის უფროსის 1 საშტატო ერთეული, ხელფასით თვეში – 900 ლარი; მთავარი სპეციალისტის 3 ერთეული, ხელფასით თითოეულის თვეში – 550 ლარი; უფროსი სპეციალისტის 2 საშტატო ერთეული, ხელფასით თითოეულის თვეში – 500 ლარი;

1.4. სტუ-ის მედია არქივის ჯგუფი: ჯგუფის უფროსის 1 საშტატო ერთეული, ხელფასით თვეში – 900 ლარი; უფროსი სპეციალისტის 2 საშტატო ერთეული, ხელფასით თითოეულის თვეში – 500 ლარი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის საშტატო ერთეულის რაოდენობა არ იცვლება, ხოლო სახელფასო ფონდი იზრდება 900 ლარით თვეში.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 21 ივლისის 13 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა 5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 21 ივლისის 13 სხდომაზე პროფ. ნაზი კუციავამ წარმოადგინა საკითხი ემერიტუსის აკადემიური წოდების მისანიჭებელი კანდიდატისათვის სარგოს რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 21 ივნისის დადგენილებები №2033; №2034.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. მიენიჭოს სტუ-ის ემერიტუსის აკადემიური წოდება ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის პროფესორ ნოდარ ჩხუბიანიშვილს და სარგოს რაოდენობა განესაზღვროს 80 %-ით;
2. მიენიჭოს სტუ-ის ემერიტუსის აკადემიური წოდება ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის პროფესორ ანერი ლეჟავას და სარგოს რაოდენობა განესაზღვროს 59%-ით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 21 ივლისის 13 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა 6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 21 ივლისის 13 სხდომაზე სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფ. გაი ნაცვლიშვილმა წარმოადგინა საკითხი ემერიტუსის აკადემიური წოდების მისანიჭებელი კანდიდატისათვის სარგოს რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 21 ივნისის დადგენილება №2039.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: მიენიჭოს სტუ-ის ემერიტუსის აკადემიური წოდება არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორ შალვა გოგოლაძეს და სარგოს რაოდენობა განესაზღვროს 60%-ით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 21 ივლისის 13 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა 7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 21 ივლისის 13 სხდომაზე სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფ. თემურ კუნჭულიამ წარმოადგინა საკითხი ემერიტუსის აკადემიური წოდების მისანიჭებელი კანდიდატისათვის სარგოს რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 30 ივნისის დადგენილება №2052.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: მიენიჭოს სტუ-ის ემერიტუსის აკადემიური წოდება სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის პროფესორ ნათელა მექვაბიშვილს და სარგოს რაოდენობა განესაზღვროს 60%-ით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 21 ივლისის 13 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა 8

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 21 ივლისის 13 სხდომაზე პროფ. გიორგი აბრამიშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის,

ნ. მუშკუდიანის მოხსენებითი ბარათის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 30 ივნისის დადგენილება №2053.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: დაკმაყოფილდეს სტუ-ის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, ნ. მუშკუდიანის თხოვნა და მისი ვაჟი ლევან ლეკიაშვილი, რომელიც არის სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სტუდენტი (დოქტორანტურა, მე-2 კურსი), გათავისუფლდეს სწავლის საფასურის გადასახადისაგან.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 21 ივლისის 13 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა 9

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 21 ივლისის 13 სხდომაზე პროფ. გიორგი აბრამიშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დოქტორანტ მარინა ყიფიანის განცხადების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 30 ივნისის დადგენილება №2057.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დოქტორანტ მარინა ყიფიანის სწავლის საფასურის დავალიანება დაიფაროს უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 21 ივლისის 13 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა 10

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 21 ივლისის 13 სხდომაზე პროფ. გიორგი აბრამიშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ში მეცადინეობაზე პედაგოგის გამოუცხადებლობისას მისი სხვა პედაგოგით შეცვლის წესის დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 21 ივნისის დადგენილება №2051 .

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მეცადინეობაზე პედაგოგის გამოუცხადებლობისას მისი სხვა პედაგოგით შეცვლის წესი;
2. დადგენილება ძალაში შევიდეს 2016–2017 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2016 წლის 21 ივლისის 13 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა 11

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 21 ივლისის 13 სხდომაზე პროფ. ჯემალ ბერიძემ წარმოადგინა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან „მობილური და ოპტიკურ-ბოჭკოვანი სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 20 ივლისის დადგენილება №2091.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან შეიქმნას თვითდაფინანსებაზე მყოფი „მობილური და ოპტიკურ-ბოჭკოვანი სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“ და დამტკიცდეს მისი დებულება.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2016 წლის 21 ივლისის 13 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა 12

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 21 ივლისის 13 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი ეროვნული გამოცდების მიმდინარეობის პერიოდში მე-6 სასწავლო კორპუსში განთავსებული ფართობების მოიჯარეთა საიჯარო ქირისაგან გათავისუფლების შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: ეროვნული გამოცდების მიმდინარეობის პერიოდში (დაახლოებით ერთი კალენდარული თვე) ქვემოთ მითითებული მოიჯარეები გათავისუფლდნენ საიჯარო ქირის გადახდისაგან:

- ფ.პ გოჩა დალაქიშვილი;
- ფ.პ სტეფანე აბრამიანი;
- ფ.პ ტატინა ბითაძე;
- ფ.პ ნარგიზ ტოგონიძე;
- შპს პრომო პლუსი;
- ფ.პ თორნიკე ოქროპილაშვილი.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 21 ივლისის 13 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა 13

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 21 ივლისის 13 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის იჯარით გასაცემი ფართობების შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, კანონით დადგენილი წესით, იჯარით გასცეს სტუ-ის ფართობები, კერძოდ:

1. პირველი სასწავლო კორპუსის მე-4 სართულზე მდებარე 69.16 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართობი, საოფისე საქმიანობის მიზნით, 3 წლის ვადით;
2. პირველი სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე არსებული 62.08 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართობი, რკინის ნაკეთობების დამზადების მიზნით, 3 წლის ვადით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2016 წლის 21 ივლისის 13 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა 14

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 21 ივლისის 13 სხდომაზე პროფ. დავით ჩიქოვანმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის აგრარული და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტისა და სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი ქონების ჩამოწერის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციას, კანონით დადგენილი წესით, სტუ-ის აგრარული და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტისა (მცირე ფასიანი ინვენტარის, ფანჯრებისა და რკინის მოაჯირების) და სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის (ძირითადი საშუალებები) ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი ქონების ჩამოწერის შესახებ.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე